# მწყემსი

№ 11.



გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: გაზეთის „მწყემსის“ რედაქციაში, დაბა შორაპანს. *Въ мѣстечко Квирилы. Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

განცხადება მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ზომიერ ფასათ. მიიღება აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებაების დარიგება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი და თუ ავტორთა თავის ვინაობის გამოცხადება არა სურსთ, რედაქცია არ გამოაცხადებს მათ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.



შინაარსი: ოფიციალური ნაწილი. უმაღლესი მანიფესტი.—უმოწყალესი დაჯილდოება სასულიერო პირთა. არა ოფიციალური ნაწილი. სასარგებლოა თუ არა სამღვდელო შეკრებილებათა არსებობა.—ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში IV.— საღმრთო წიგნების გადათარგმნა ოსურ ენაზე.— საყურადღებო ფაქტი.—სხვადა-სხვა ამბები და შენიშვნები.—ჭეშმარიტების აღდგინებისა გამო.—სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ ზნეობაზე. სიტყვა, თქმული თელავის სემინარიის გახსნის დროს გაიოზისაგან.— მოწამეთის მონასტერი და წმიდანი მოწამენი დავით და კონსტანტინე.—განცხადებანი.


## ოფიციალური ნაწილი.

### უმაღლესი მანიფესტი.

მოწყალებითა ღვთისათა

ჩვენ, ალექსანდრე მესამე,

იმპერატორი და თვით მპყრობელი სრულიად რუსეთისა,

მეფე პოლშისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა, და სხვათა, და სხვათა.

უცხადებთ ყოველთა ჩვენთა მორწმუნე ქვეშევრდომთა:

საყვარელი შვილი ჩვენი და მემკვიდრე რუსეთის ტახტისა, ცესარევიჩი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, დღევანდელსა დღესა, ღვთის მოწყალებით, შეიქმნა სრული წლოვანი დადგენილთა კანონთა მებრ.

დღესვე, შესრულების შემდეგ სამადლობელი ლოცვისა უფლისა ღვთისადმი, მისმა იმპერატორებითი უმაღლესობამ, აღსასრულებლად კანონისა, მიიღო ჩვენი თანა დასწრებით დადგენილი ფიცი ჩვენი და მამულის ერთგულ მსახურებაზე.

კეთილ ვკრძალულებთ რა უზენაესის განგებულების წინაშე მეფეთა და სამეფოთა ბედზედ, ვაუწყებთ ამ სასიხარულო შემთხვევას ყოველთა ჩვენთა მორწმუნეთა ქვეშევრდომთა. დანდობილნი ღვთის მოწყალებაზე, ვერწმუნებით, რომ შეს-

მენილ იქმნება საყოველთაო გულითადი ვედრება: განამტკიცოს უფალმან სული პირმშოისა და მემკვიდრისა ჩვენისა წმიდათა აღთქმათა შინა დიდისა მსახურებისა, ღვთის ნებით მისთვის დანიშნულისა და დაამყაროს გულსა და გონებასა შინა მისსა სიმართლე მისი და სიბრძნე, და დაიფაროს იგი მადლმან ღვთისამან, რომელიცა განანათლებს ყოველსა კეთილსა განზრახვასა და მართალსა საქმესა.

მიცემულ არს სანკტ-პეტერბურღს, 3-სა დღესა მაისსა, წელსა ქრისტეს დაბადებიდამ ათას რვაას ოთხმოცდა ოთხსა, მეფობისა ჩვენისა მეოთხესა.

ნამდვილსა ზედა მისის იმპერატორებითი დიდებულების ხელით მოწერილია:

«ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე».

---

სია სასულიერო პირთა, რომელნიცა სამსახურისათვის ეპარხიის უწყებათა მიერ, 7 აპრილს 1884 წელსა ყოვლად უმოწყალესად დაჯილდოვდნენ უმაღლესი ბოძებული ჯილდოებითა.

**საქართველოს საექსარხოსოში: წ მ ი დ ა  ვ ლ ა დ ი მ ი რ ი ს  მ ე ს ა მ ე  ხ ა რ ი ს ხ ი ს  ო რ დ ე ნ ი თ ა:** დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვარი არხიმანდრიტი **გრიგორი** (დადიანი); **მ ე ო თ ხ ე  ხ ა რ ი ს ხ ი ს  ვ ლ ა დ ი მ ი რ ი ს  ო რ დ ე ნ ი თ:** იმერეთის ეპარხიის, სენაკის მაზრის, ნოსირის ეკკლესიის დეკანოზი **იესე სისორდია**; **მ ე ო რ ე  ხ ა რ ი ს ხ ი ს  წ მ ი დ ა  ა ნ ნ ა ს  ო რ დ ე ნ ი თ:** თფილისის ფერიცვალების მონასტრის წინამძღვარი არხიმანდრიტი **კესარი**; მოწამეთის მონასტრის არხიმანდრიტი **ბესარიონ** და ზუგდიდის მაზრის, ცაიშის სოფლის ეკკლესიის დეკანოზი **მიხეილ მეუნარგია**. **მ ე ს ა მ ე  ხ ა რ ი ს ხ ი ს  ა ნ ნ ა ს  ო რ დ ე ნ ი თ:** ქალაქის ტფილისის ჯვარცმის ეკკლესიისა, ეკონომი ექსარხოსის სახლისა მღვდელ-მონაზონი **მარტირი**; ქალ. ტფილისის წმიდა ნინას სასწავლებლის ეკკლესიის მღვდელი **იოანნე სტასი**; სოხუმის ოლქის, ჯირდის ეკკლესიის დეკანოზი **გიორგი ახვლედიანი**; ქალაქის ქუთაისის მთავარ-ანგელოსთ სობოროს დეკანოზი **რაჟდენ გიგაუროვი** და ოზურგეთის მაზრისა, გურიის კათედრის სობოროს მღვდელი **დიმიტრი ჭყონია**.

# არა ოფიციალური ნაწილი.

## სასარგებლოა თუ არა სამღვდელო შეკრებილებათა არსებობა.

ისტორიაში დაუვიწყარი იმპერატორის ალექსანდრე მეორის მეფობის დროს მრავალი სხვა-და-სხვა რეფორმები და დაწესებაები დაარსდა სახორციელო უწყებაში; იმის დროს არც სასულიერო უწყება დაშთენილა უყურადღებოდ. ბევრს ეგონა, რომ სახორციელო უწყებაში შემოღებული სასამართლოს რეფორმები შემოიტანდა ახალ სასამართლო წესებს ჩვენ სასულიერო უწყებაშიაც, მაგრამ ეს ფიქრი ძლიერ შორ დარჩა და ერთ დროს აღდგენილი კითხვა და მიწერ-მოწერა სასულიერო მომრიგებელ მსაჯულების დანიშვნის შესახებ, სად გაჰქრა და სად დაიკარგა, ჯერეთ კიდეც არავინ იცის.

მოხდა თავ-ზარ დამცემი დიდი უბედურება პირველ მარტს 1881 წელსა. მოიკლა ის, რომელმაც განათავისუფლა 23 მილიონი ხალხი მონაობისაგან და რომელმაცა მიანიჭა ხალხსა მცირე დროში ის, რასაც საზოგადოება არ მოელოდა ასე მალე. ამისთანა უბედურმა შემთხვევამ თავზარი დასცა და შეაშფოთა არა მარტო რუსეთის სახელმწიფო, არამედ მთელი დედამიწის სახელმწიფონი... ყველა გრძნობდა რაღაცა გაუგებარ, ანორმალურ მდგომარეობას. ამ მდგომარეობამ გამოიწვია სხვა-და-სხვა ზომების ხმარება, როგორც სახორციელო, ისე სასულიერო უწყებაში. ამ ზომების ხმარებამ და შიშმა შეაფერხა თითქმის ყველა დაწესებულებანი, რომელნიც ჯერეთ კიდევ კარგად არ იყვნენ დამკვიდრებულნი. „მუნ შეეშინდათ შიშისა სიტყვისამებრ Დავით წინასწარმეტყველისა, სადა იგი არა იყო შიში.“ საუბედუროთ, მოვესწარით იმასაც, რომ ზოგიერთები ამტკიცებენ, სხვათა შორის, სამღვდელო შეკრებილებათა ვნებას და უსარგებლობას.

რუსეთში გამოდიოდა ამ უკანასკნელ დრომდე ერთი ყოვლად საზიზღარი მიმართულების გაზეთი სახელად „ვოსტოკი“ (Востокъ), რომელიც სამღვდელო შეკრებილებათა ვნებას ამტკიცებდა. ეს გაზეთი ამტკიცებდა, რომ სამღვდელოების შეკრებილება პარლამენტის შეკრებილებას მოაგონებს ხალხსა და ხალხმა რომ ბოლოს დროს კონსტიტუციური მართებლობა არ ისურვოსო, უნდა მალე მოსპონ ეს შეკრებილებაები და სხვა!..

ამაზე მეტი საძაგელი ცილის წამება აღარც კი შეიძლება! ეს ის „ვოსტოკია“, რომელიც თავისი ვაჭრული მიზნის მისაღწეველად ერთ დროს მთელს სამღვდელოებას მიწასთან ასწორებს, აქებს მღვდელმთავრებს და სტირის მათ უფლებათა შემცირებისათვის. მეორე დროს ესევე გაზეთი ვექილად უდგება სამღვდელოებას მათი უფროსების წინაამდეგ და ჯვარ-ცმად განმზადებულია მათი ინტერესის დაცვისა გამო...

სასულიერო წოდებას შეკრებილების უფლება მიენიჭა 1867 წელს აქეთ;—გადის აგერ მეთვრამეტე წელიწადი. ამ 18 წლის განმავლობაში სხვა-და-სხვა ადგილებში სამღვდელო შეკრებილებათა წყალობით სასწავლებლების შესანახავად და ყველა წოდების ყმაწვილთა გამოსაზრდელად შეკრებილი იქმნება ოც მილიონ მანეთზე მეტი. იმპერიის სამღვდელო-წოდებათაგან ყოველ წელში მილიონ მანეთზე მეტი იკრიბება სასწავლებლების შესანახავად. აიღეთ. მაგალითებრ, თუ გინდ საქართველოს სამღვდელოება და—მათში ყველაზედ უღარიბესი—განსაკუთრებით დასავლეთის საქართველოს სამღვდელოება. ამ სამღვდელოებამ სემინარიის დასაარსებლად გადასწყვიტა თავიანთ შეკრებილებაზე 333,000 მანეთის შეწირვა თავის საკუთარი ფულებიდან. ეს მოხდა სამღვდელო შეკრებილებათა წყალობით!.. ამავე შეკრებილებათა წყალობით მარტო იმერეთის სამღვდელოების ერთი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შესანახავად აქვს შეტანილი 10 წლის განმავლობაში ას ოცი ათას მანეთამდე. ვის შეეძლო ამისი გარდახდევინება სამღვდელოებისათვის, თუ არა მათვე განაჩენს? ასე, არა ვითარი ვნება გარდა დიდი სარგებლობისა სამღვდელოების შეკრებილებას არ მოუტანია საზოგადოებისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც კიდევ ეჭვით უცქერიან ზოგნი ამ მშვენიერ დაწესებულებას და უნდათ, რომ მოსპონ იგი...

სამღვდელოების შეკრებილებას ვერ შეურიგდნენ კიდევ ზოგიერთი სასწავლებლების უმფროსები, რომელთაც არ მოსწონთ, რომ სამღვდელოება ანგარიშებს სთხოვს მათ დანახარჯ ფულებზე.

არც ერთ წოდების შეკრებილებას არ შეუძლია მთელს რუსეთის იმპერიაში იმდენი სარგებლობა და ნაყოფიერობა დაანახოს საზოგადოებას, რამდენი ნაყოფიც მოიტანეს სამღვდელო შეკრებილებათა.

ზოგიერთები მიაცივდებიან ერთი-ორი შეკრებილების უნაყოფოებას და მით უნდათ მოსპონ საყოველთაოდ სამღვდელოთა შეკრებილება. მათ ავიწყდებათ, რომ, თუ სამღვდელოების შეკრებილება

ვერ ასრულებს ზოგიერთ ადგილას თავის დანიშნულებას, ეს წარმოსდგება სხვა-და-სხვა დამაბრკოლებელ მიზეზთაგან. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ სასულიერო მთავრობა უმეტესად განამტკიცებს და უმეტეს უფლებას მიანიჭებს ეპარხიულ სამღვდელოთა შეკრებილებას. არავინ უნდა დაივიწყოს ის, რომ სამღვდელოების შეკრებილებათა მოსპობით, მოისპობიან მრავალს ადგილას სასულიერო სასწავლებელნი, რომელნიც სამღვდელოების შეწირული ფულებით ინახებიან; არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ სასულიერო სასწავლებლები მაშინ მიაღწევენ იმ უბედურ მდგომარეობამდის, რომელშიც ისინი იყვნენ 1867 წლამდე.

Საერო უწყებაში დიდი ხანია რაც საზოგადო წარმომადგენელთა შეკრებილება არსებობს. ამ საზოგადოებას იმ საგანს გარდა, რისთვისაც ისინი იკრიბებიან, შეუძლიათ ბევრ იმისთანა საქმესაც მიაქციონ ყურადღება, რომელიც მათ გონებით განათლებას და ნივთიერად გაუმჯობესობას შეეხება. მაგრამ ჯერეთ არ შეგვინიშნავს არცერთი ისეთი შესამჩნევი სასარგებლო შეკრებილება, რომელიც დიდი შესანიშნავი ყოფილიყოს ამ მხრით. მართალია, მოდიან შეკრებილებაზე, ბევრს ლაპარაკობენ, ბევრს სჯიან, დიდი ამბები და დიდი შეტაკება მოხდება ხოლმე რომელიმე პირის აღრჩევაზე, მაგრამ მარტო მოთავე პირების აღრჩევისათვის არის ეს დიდი ამბები! ამ დიდ აყალ-მაყალში, ალიან-ჩალიანში საზოგადო კეთილი საქმეები რჩებიან და მომავალი მოზარდი საზოგადოებისათვის სრულებით არავითარი ზრუნვა, არავითარი აზრი არ ისმის.

Საზოგადოდ, უნდა ვსთქვათ, ინტელიგენცია ძლიერ ამდაბლებს ჩვენ სასულიერო წოდებას და მაღლიდგან გადმოჰყურებს მას, მაგრამ საქმით სულ სხვა სჩანს. Თფილისის გუბერნიაში თავად-აზნაურობამ, ამბობენ, თოთხმეტი ათასი თუმანი შესწირა გიმნაზიის გასახსნელადო და ყურები წაგვჭამეს ამაზედ წერით და ქების შესხმით... ვისურვებთ გულით, რომ საერო წოდებას სამღვდელოებისათვის წაებაძოს ამ შემთხვევაში და მოზარდი თაობის აღზრდისათვის უმეტესად ეზრუნოს და მათ შეკრებილებას უმეტესი ნაყოფი გამოეღოს.

---

## ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

### IV.

Ⴕრისტიანობის და ამასთანავე ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანობა ცოტათი შეფერხდა მირდატის ძის ქარაზ-ბაკურის დროს (379—393 წ.). სპარსელნი, რომელთაც დიდად არ ესიამოვნებოდათ Ⴕრისტიანობის გავრცელება საქართველოში, შემოვიდნენ ჩვენ ქვეყანაში, აიღეს არანი, სომხითი და დადგნენ Თბილისს, საცა გორაზე წინააღმდეგ ქართველთა ააგეს „შურის ციხე“ და დაუწყეს ქრისტიანებს დევნა და წვალება. ქარაზ-ბაკური იძულებული შეიქმნა შერიგებოდა მტერს და დაეთმო მათთვის არანი, აღმოსავლეთის ნაწილი საქართველოსი და ეძლია ხარკი. ბერძენთა იმპერატორმა არ მოუწონა ქარაზ-ბაკურს ამნაირი სამარცხვინო საქციელი და აუჯანყა კლარჯეთი ბასიანამდის და იქ მმართველად დასვა სავრომათი. სპარსელნი წეექომაგნენ ქართველთ წინააღმდეგ ბერძენთა, მაგრამ ამ ბრძოლის დასრულებამდი მოკვდა ჩვენი მეფე და გამეფდა ტირდატი, რომელიც ცდილობდა დაემშვიდებინა თვისი სამეფო. მთავარ-ეპისკოპოსის Ილიას შემწეობით მშვიდობიანობა დამყარებულ იქმნა ოქროს მოხმარებით. გამეფებულმა ფარსმანმა (405—408 წ.) დაიწყო დანგრეული ეკკლესიების განახლება და ახლების აგება, მაგრამ მალე მოკვდა და Ივერიისა ტახტსა ზედა აღვიდა მტერი ქრისტიანობისა, და უზნეო მეფე მირდატი IV (408—410 წ.) ამან უარ-ჰყო სჯული თვისის ხალხისა და მოინდომა წვალება ქრისტიანობისა, მაგრამ სპარსელებმა აღარ აცალეს. ხარკის მიუცემლობისა გამო ქართველებზე განძვინებულნი მტერნი შემოვიდნენ საქართველოში, აღაოხრეს იგი, დაამხვეს ყველა ეკკლესიები და მათ წინ დასდგეს კერპნი. ხალხი, სამღვდელო პირებითურთ, შეიხიზნა მთებში და კახეთის ხევში. Თვით მეფე დაატყვევეს, გაგზავნეს ბაღდათში და იქვე მოკვდა. საქართველო, უმეფოდ დაშთენილი, ჩავარდა საშინელ მდგომარეობაში. მშველელი ჩვენი ქვეყნისა 413 წ. გამოჩნდა ძე მირდატისა არჩილი. გამეფებისვე უმალ გონიერმა ამა მეფემ შეირთო ცოლად ბერძენთა ხელმწიფის ასული მარიამი, *) რათა უვნებელად ყოფილიყო ბერძენთაგან. შემდეგ შეუდგა სარწმუნოების აღდგენას.

*) მარიამი და მისი რძალი სანდუხტა (გაქრისტიანებული) მეტად ღვთისნიერნი იყვნენ. მათ თხოვნით და შემწეობით პირველად გადმოიღეს ქართულად სახარება, სამოციქულო და სხვა წიგნები.

იმან განდევნა ცეცხლ-თაყვანის მცემელნი, დაამხო კერპნი და ბომონნი და ხელ-ახლა ააგო ტაძრები, სხვათა შორის წმ. სტეფანესი მცხეთაში. განდევნილნი ქურუმნი საჩივრით მიიქცნენ წინაშე არანის და ადირბეჟანის მმართველის ბარზაბოდისა და სთხოვეს შველა და დასჯა არჩილისა. დიდძალის სპარსთა ჯარით ეს საშინელი მტერი შემოვიდა საქართველოში, მაგრამ ძალოვანის ჩვენის მეფის არჩილისაგან იძლივნენ და განდევნილ იქმნენ არანამდის, რომლის მცხოვრებთაგან მრავალნი შეიპყრო არჩილმა, ტყვე ჰყო და დიდის ალაფით უკუ მიიქცა და იდღესასწაულა თვისი გამარჯვება. და ეს გამარჯვება მტერთა ზედა მიაწერა ძალსა ქრისტესსა.

ამავე დროს საქართველოს მთავარ-ეპისკოპოსად იყო სპარსელი მობიდანი, რომელიც მხოლოდ გარეგნობით ქრისტიანობდა, თორემ ნამდვილად კი იყო მტერი ამა სჯულისა. ეს ცრუ ღვდელ-მთავარი უარ-ჰყოფდა ზოგიერთ ქრისტიანულ წესებს და შემოჰქონდა არიოზის *) მწვალებლობა, რომელიც იმპერატორის ვალენტის მფარველობით ედებოდა მთელს აღმოსავლეთს. გარდა ამისა ღირსეულ და ზედ-მიწევნით ქრისტიანობის მცოდნე მღვდლებს და ეპისკოპოზებს სცვლიდა და მათ მაგიერ ამწესებდა თავის სწავლის მაღიარებელ პირებს. თუმცა დიდის სიფრთხილით ურევდა ღვარძლსა ნიკეის მსოფლიო კრებისაგან აღიარებულ და დამტკიცებულ ქრისტიანებრივს წესებში, მაგრამ მაინც ვერ გადურჩა მეფის არჩილის სამართალს. არჩილის ბრძანებით მოჰხდა კრება ეპისკოპოზებისა მცხეთაში. ამ კრებაზე დაესწრნენ ეპისკოპოზნი: წილკნისა, მცხეთისა, ნეკრესისა, რუისისა, ხონისა და სხ. კრებამ მობიდანოს სწავლა იცნო წინააღმდეგად ქრისტიანებრივის სწავლისა, განაყენა მთავარ-ეპისკოპოზობიდამ მობიდანი და განაძევა სამშობლოდამ. ამ დროს კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ტახტზე იჯდა არიოზის მწვალებლობის მომხრე ნესტორი, რომელსაც მობიდანისთვის შეეძლო მცხეთის კათედრა დაებრუნებინა, თუ მესამე მსოფლიო კრებას ეფესში **) ბოლო არ მოეღო ნესტორისა, მისის სწავლისა და მოაზრეთათვის. ამავე კრებაზე განხილულ იქმნენ საქართველოს ეკკლესიის საქმენი და არჩილს მოუწონეს მისი მოქმედება წინააღმდეგ მობიდანისა და სასარგებლოდ ქრისტეს ეკკლესიისა.

შემდეგ ამისა არჩილმა მცხეთის კათედრაზე განამწესებინა განათლებული ბერძენი მიხეილი და თვითონ მოკლე დროში ამის შემდეგ მოკვდა (434 წ.). გამეფდა მისი შვილი მირდატი მე V, რომელსაც ცოლად ჰყვანდა არანიის მმართველის ასული სუნდუხტა, ქმრის ხელში გაქრისტიანებული. ამ მოყვრობის ძალით სპარსელნი მეგობრულად იყვნენ ქართველებთან, მაგრამ როდესაც სპარსეთის ტახტზე ავიდა ფანატიკოსი იეზდიგერდი II, მაშინ, საზოგადოდ, ქრისტეანებს და კერძოდ ქართველებს დაუდგათ საშინელი დრო. ტახტსა ზედა ასვლასავე იეზდიგერდი მიესია ბერძენთ ქვეყნებს, აიკლო და აოხრა ისა და სრულიად დაამარცხა მათი ჯარები. შემდეგ არანის და ადირბეჟანის მმართველს ბარჩაბადს უბრძანა დაეპყრო საქართველო და სომხეთი, დაემხო ქრისტიანობა ამ ქვეყნებში, დაემკვიდრებინა ყველგან ქურუმნი და ზოროასტრის სჯულის მასწავლელნი. შორს-მხედველი იეზდიგერდი ამ ბრძანების გამოცხადებამდის იწვევდა ქართველთა და სომეხთა მხედრობას ხორასანში წინააღმდეგ თვისის მტრებისა გუნნებისა. ამ ნაირის მოქმედებით იმას უნდოდა: 1, ქართველთა და სომეხთ ვერ ამოეჩინათ წინააღმდეგობა ზოროასტრის სჯულისათვის; 2, უცხო ნათესავთა მხედრობით დაემარცხებინა თვისი ქვეყნის მტრები. ამ სჯულისა და ქვეყნის საშიშროების დროს მოკვდა მირდატი V, რომელსაც დარჩა 7 წლის ყრმა ვახტანგი.

(გაგრძელება იქნება).

მოსე ჯანაშვილი.

---

*) არიოზი იყო ალექსანდრიის მღვდელი ეგვიპტეში. ის იესო ქრისტეზე ამბობდა, რომ იყო დრო, როდესაც იგი არ იყო, რომ იგი ჭეშმარიტი ღმერთი არ არის, არ არის თანაარსი ღვთისა, რომ იგი შობილი კი არა, ქმნილია მამისაგან. პირველმა მსოფლიო კრებამ შეაჩვენა სწავლა არიოზისა (325 წ.) და შეადგინა სიმვოლო სარწმუნოებისა.

**) ეს კრება მოხდა 431 წ. წინააღმდეგ კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნესტორისა, რომელიც უარ ჰყოფდა იესოს ღმერთ-კაცობას და ქალწულსა მარიამს უწოდდა ქრისტეს მშობელად და არა ღვთის-მშობელად. კრებაზედ გადასწყვიტეს: „ვაღვიარებთ ერთსა ქრისტესა ძესა ღვთისასა განკაცებულსა და უთესლოდ მშობელს მისსა წმ. ქალწულსა მარიამს ჭეშმარიტად ღვთის-მშობელად“ (Пр. Кат. გვ. 40).

## საღმრთო წიგნების გადათარგმნა ოსურ ენაზე.

როდესაც დაარსდა „კავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენებელი საზოგადოება“, ე. ი. 1860 წ. მრავალმა პატივცემულმა პირებმა დაიწყეს სამღთო წიგნების ოსურ ენაზე გადათარგმნა; მაგრამ წინადაც იყო გადათარგმნილი ოსურ ენაზე რამდენიმე სამღთო წიგნი. პირველი შრიფტი, რომელიც ოსეთში შემოღებული იყო მე-ცხრამეტე საუკუნემდე, იყო ქართული მხედრული (ცნობ. ამ საგანზე იხილ. „დროება“ 1883 წ. № 199), რაიცა მტკიცდება მრავალ-გვარ წარწერებითა ეკკლესიებში, სხვათა შორის, ლექსით, რომელიც ნუზალის მონასტერში იყო წარწერილი ქვაზე და სხვ. (იხ. „მწყემსი“ № ). 1820 წელს ერთმა ოსთაგანმა იალღუზიძემ, რომელმაც თბილისის სასულიერო სემინარიაში დაათავა კურსი, შემოიღო მხედრულის მაგივრად ხუცური და გადათარგმნა, სხვათა შორის, წმ. იოანნე ოქროპირის ლიტურღია ოსურ ენაზე. წიგნაკი გაყოფილი იყო ორ ნაწილად, ერთზე ასამაღლებელნი და საგალობლები იყვნენ ქართულ ენაზე, მეორე გვერდზე—ოსურ ენაზე. ამ თარგმანს ხმარობდნენ ახლად აშენებულ ოსეთის ეკკლესიებში მაშინდელნი ენერგიულნი მისსიონერნი „ოსურ სასულიერო კამისიისა“ ილურიძე, სამარგანოვი და სხვ.

1840 წ. პეტერბურღში საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა დავითნი ოსურ ენაზე, რუსულ შრიფტით. თარგმანი ეკუთვნისს პატივცემულ ანდრია შეგრენს—როგორც აკადემიის წევრს. საუბედუროდ ეს ერთად ერთი თარგმანი დავითნისა სრულიად მოკლებულია ღირსებათა. აქ ოსურ კონსტრუქციის მაგივრად ხმარებულია რუსული, ამასვე დაუმატეთ ისიც, რომ რუსული ასოები სრულიად არ აკმაყოფილებენ ოსურ ენის გამოთქმის წესებს და თქვენ დარწმუნდებით, რომ მისას თვით ოსებიც ვერას გაიგებენ-რა.

როდესაც თბილისის სასულიერო სემინარიაში შემოიღეს ოსური ენის სწავლება, მაშინ სამღთო წიგნების ოსურ ენაზე თარგმნის საქმე უფრო კარგად წავიდა. სემინარიაში მაშინ ოსები ბევრნი სწავლობდნენ; ამასთანავე მასწავლებლებიც (ჭონკაძე, მჟედლოვი და ცორაევი) განვითარებულნი იყვნენ ამ საქმეში. ესენი თვის მოწაფეებს ათქმევინებდნენ ხოლმე სემინარიის ეკკლესიის კათედრიდამ ქადაგებებსა ოსურ ენაზე და გარდა ამისა ურიგებდნენ რომელიმე სამღთო წიგნიდამ რაოდენიმე თავსა გადასათარგმნად და წიგნი შემდეგ მთლად იბეჭდებოდა. თვით მასწავლებელს ბატ. ვას. ცორაევს ეკუთვნის მშვენიერიენით გადათარგმნილი სახარება, კათოლიკე ეპისტოლენი მოციქულთა და სხვ. გარდა ამისა „კავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ძალიან შველოდენ ამ საქმეში მღვდელნი: ელაჯიკოვი და სუხიევი, რომელთაც გადასთარგმნეს მოსეს წიგნნი. დეკანოზმა კოლიევმა გადასთარგმნა იოანნე ოქროპირის, ვასილი დიდის და პირველ-შეწირულთა წირვანი, საღამოს ლოცვა, კურთხევანი და სხვ. არხ. იოსებმა შეადგინა ოსური ანბანი და გადასთარგმნა ზოგიერთა წიგნები.

ჩვენ შემდეგში ვეცდებით ამ საგანზე ვრცლად მოველაპარაკოთ მკითხველებს.

გიორგი ლიახველი.

## საყურადღებო ფაქტი.

(წერილი რედაქციისადმი)

თქვენც მოგეხსენებათ, ჩემო ბატონო, რომ ეკკლკსიამ, დიდი ხანი არ არის რაც შესცვალა თავისი მეურნეობა, ეს უკანასკნელი ახალს წესსზედ მოაწყო. საჭირო იყო ეკკლესიას გამოეგონა ახალი საშუალება, სახსარი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის და გამოიგონა კიდეც. ვინც ცოტად მაინც იცის წარსული და აწმყო ჩვენის ეკკლესიის ეკონომიური ყოფა-ცხოვრებისა, იმისთვის ცხადია, რომ ეკონომიურ კეთილ-მდგომარეობაზე ფიქრი და ზრუნვა ეკკლესისათვის აწინდელს დროში შეადგენს უმთავრეს და უპირველეს საგანს. ძველ დროს ჩვენი ეკკლესია შედარებით ფრიად მდიდარი ყოფილა. საზოგადოება, ხალხი ხელს უწყობდა, მხურვალის გულით ეხმარებოდა ამ სიმდიდრეს. მაშინ თვით ხალხი სცდილობდა ეკკლესიისათვის, ეხლა კი ზრუნვა კისრად დაედო ერთს წოდებას, სასულიერო წოდებას. გადაიკითხეთ ძველი გუჯრები, თვალ-ყური ადევნეთ ჩვენს საეკკლესიო ისტორიას და თქვენ დარწმუნდებით, რომ უწინ ხალხი და ეკკლესია მჭიდროდ შეკავშირებულნი ყოფილან, ერთის სულით და გულით უცხოვრნიათ, უმოქმედნიათ. ეხლა სულ სხვასა ვხედავთ. „დანგრეულს ტაძარს“ შორიდგან გულ-გრილად შესცქერის ხალხი და არც ერთი კუთხიდგან არ მოისმის არა თუ „ტირილი იერემიასი,“ არამედ უბრალო გულის კვნესა,

სულის გოდება. ეკლესია დაშორდა ხალხს და სასულიერო წოდების მფარველობას და ზრუნვას შეეფარა. ჰიდეც ამისათვის თვით საეკლესიო მეურნეობასაც ფრთები შეეკვეთა, ძალა შეუმცირდა.

ამის დასამტკიცებლად მე ამ ჟამად ერთს ფაქტზე მივაქცევ მკითხველის ყურადღებას, სახელდობრ სანთლის გაყიდვის საქმეზე.

როგორც მოგეხსენებათ, სანთლის გაყიდვა ჩვეში ეკლესიის საკუთრებას, მის უფლებას შეადგენს, გაღარიბებული ეკლესიისათვის საჭიროდ იცნეს ვაჭრული აღებ-მიცემა და ამ უკანასკნელის ყალიბზე ჩამოასხეს სანთლის გაყიდვის საქმე. აქ გასაკიცხავი არა არის რა. ხომ მოგეხსენებათ, ჟამნი და დრონი მეფობენ... სამწუხარო ის არის, რომ ჩვენი საზოგადოება არ ეხმარება ამ საქმეში ეკლესიას და ამითი ერთხელ კიდევ ამტკიცებს უიმისოთაც დამტკიცებულს მოვლენას თუ რა დარღვეულება, უკავშირობა, უთავ-ბოლოობა არსებობს ჩვენ ხალხში. იქ, სადაც სხვა სარწმუნოების ხალხი, მაგ. სომეხნი, ჩვენს ხალხზე გასყიდული სანთლის ფულით სკოლებს აღებს და ეროვნობის საქმე წინ მიჰყავს, ჩვენ გულხელ დაკრეფილნი ციდამ მანანას მოველით. და აი ამისი მაგალითიც:

ხ. ცხინვალში, რომელიც შეადგენს მთელის მაზრის ცენტრს, ასი კომლი სომეხი სცხოვრებს. აქაურს სომხებს აქვსთ საკუთარი საქალებო სკოლა, სადაც, სხვათა შორის, ხელსაქმესაც ასწავლიან. ერთი ქართველი ქალი არ მოიპოვება ამ სასწავლებელში, რომლიდგანაც განდევნილა ქართული ენა. რომლის საშუალებით არსებობს ეს სკოლა?— ქართველებზე გასყიდულის სანთლის ფულით! ძნელად დასაჯერია, მაგრამ მართალი კია. აქაური სომხების ეკლესიამ სანთლის გაყიდვა იჯარით გასცა ოთხმოც თუმნად (თუმცა წინად ეს იჯარა ას თუმანზე მეტად იცემოდა) და ეს ფული სულ საქალებო სკოლას ეხმარება. ას კომლმა სომხობამ ისე მოაწყო საქმე, რომ მთელს ცხინვალის მაზრაში სანთლის საქმე თავის მონოპოლიათ გახადა, ჩვენის ეკლესიების შემოსავალი თითქმის სრულიად დაისაკუთრა. ღირს შესანიშნავია ჩვენის საეკლესიო მეურნეობისათვის ეს მოვლენა და ამისათვის მასზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას.

იქნება მკითხველმაც იცოდეს, რომ ჩვენს ეკლესიებში ისყიდება ერთად-ერთი სანთელი, რომელიც მზადდება ,,სინოდალური კანტორის“ ქარხანაში. ეს სანთელი კარგის ღირსებისაა და შესაფერი ფასიც სდევს. გარდა ამისა, კანონი, რომელიც გამოცემულია 1808 წელს, თხოულობს, რომ სანთელი გაიყიდოს მიუცილებლად ეკლესიაში, თუ არა და ეკლესიის გალავანში. რა მოახერხეს ცხინვალის სომხებმა? ამათ სანთლის საქმეს აწინდელი ვაჭრული ცარცვა-გლეჯის ხასიათი მისცეს, სპეკულიაციათ გადააქციეს. იჯარადარი ყიდულობს დაბალის ფასის, ნავთიანს სანთელს და, რასაკვირველია, მეტად იაფად ჰყიდის მას. მთელი მაზრის გლეხ-კაცობაც ამ სანთელს ეტანება, ,,ასაღებს“ მას. თუ რისთვის—ეს უჩვენოთაც ადვილი მისახვედრია. გარდა ამისა, სანთელს ჰყიდიან ეკლესიაში და მის გალავანში კი არა, როგორც ბძანებს კანონი, არამედ ბაზარში, ეკლესიის მახლობლად. თითონ ეკლესია სდგას ცხინვალის შუაგულს ადგილას, რომელსაც გარშემო არტყიან სომხების სავაჭრო სადგურები. თუ იმას არ დაივიწყებთ, რომ საქალებო სკოლა სანთლის ფულით არსებობს და მაშ სადამე ყოველი სომეხი იძულებულია დაეხმაროს სანთლის ვაჭრობას, მაშინ ადვილათ მიხვდებით, რომ ქართველს მყიდველს მის უნებურად პირ-და-პირ და ხელის მითითებით სომხების დუქანში ჰგზავნიან—იქ იყიდე სანთელი, იაფიც არის და ახლოცაო. გლეხიც იქ ყიდულობს და არ იცის, რომ ამითი ზარალს აძლევს თავის ეკლესიას და ამდიდრებს სხვისას... ასე და ამ გვარად სომხებმა სანთლის ფულით მშვენიერი სკოლა გაიმართეს და ჩვენ ისიც ვერ მოვახერხეთ, რომ ეკლესია გაგვემშვენიერებინა.

ამ წლის დიდ-მარხვაში ცხინვალის ბლაღოჩინმა ზ. გზელიშვილმა მოახსენა სადაც და ვისაც ჯერ არს სანთლის ვაჭრობის საქმე. მსწრაფლ დაუკეტეს სომხებს სანთლის დუქანი. ამ გარემოებამ დიდი მღელვარება, მოძრაობა გამოიწვია სომხებში. მთლად სომხობა ყალყზე დადგა. საქალებო სკოლას მოსპობა მოელოდა, ,,ხალხოსნური“ თავმოყვარეობა შეურაცხად და შეგინებულად გრძნობდა თავს. დაიწყო მისვლა-მოსვლა, ,,საქმის“ დევნა. მოგეხსენებათ სომხების ენერგია, მეტადრე როდესაც საქმე ვაჭრობას და ფულს შეეხება. აპრილის უკანასკნელ რიცხვებში მოვიდა გორის მაზრის უფროსის თანაშემწე, ბ. მ—ად—ვი, გვარ-ტომობით სომეხი, რომელსაც თან მოჰყვა გორის დეკანოზი მ. ტ—ვი, გულმხურვალე შვილი ჰაისტანისა, ადგილობრივ საზოგადოებაში ცნობილი მასსილიონათ. მთელმა სომხობამ, დიდმა და პატარამ, ერთად თავი მოიყარა. მოუწოდეს მ. ზ. გზელიშვილს. ეს მოძღვარი, სხვა რომ არა იყვეს რა, ტანით და ახოვნებით მაინც გოლიათი, მთელს საზოგადოებას პირში დაუდგა, საჯარო მჭერ-მეტყვე-

ლობის მოედანზე მარტო ეს იცავდა ეკკლესიის სარგებლობას. Დიდი ალიაქოთი, ყაყანი იყო. Ბევრი ილაპარაკეს იმაზე—თუ რას ნიშნავს კანონის ტერმინი „внѣ церкви и ограды ея“ და ბოლოს დროს მაზრის უფროსის თანაშემწემ გადასწყვიტა, რომ შეიძლება დაკეტილი სანთლის დუქნის გაღება, თუმცა ამ დუქანს მთელის თავის აგებულობისაგან მარტო გვერდი გაუშვერია ეკკლესიისაკენ და პირით კი ბაზარს შესცქერის. Საიდგან და როგორ დაასკვნეს, რომ დუქნის მდებიარობა არ არღვევს კანონს, რომელიც თხოულობს სანთლის გაყიდვას ეკკლესიაში და მის გალავანში, უწყის მხოლოდ აქაური სომხების ლოგიკამ... ეს კიდევ არაფერი,—სანთლის დუქანს ორი კარი გაუკეთეს, ერთი გალავნის მხრით, მეორე ბაზრისკენ. Თუ რისათვის, თქვენც გაიგებთ...

**Ჳლ. ზ.** Ბქელიშვილმა უკანონოდ სცნო ეს მოქმედება და მთავრობას ყოველისფერი შეატყობინა. Ამ „დღიური ვარამის“ დაბოლოებას ცოტას ხანში მოველით. Სომხობა მეტად განრისხებული და გაჯავრებულია. „Ძმობა და ერთობა“ არა გსურთ, ნდობას და სათნოებას ჰლუპავთო, ასე ბაასობენ აქაური სომხების მოძღვარნი. Მაგრამ, განა კანონის აღდგენა, მისი აღსრულება, ჩვენის ეკკლესიის სარგებლობის დაცვა „ძმობას და ერთობას“ უშლის, ეწინააღმდეგება?! Საკვირველი სჯაა, საოცარი ლოგიკა!.. ჩვენ თქვენის ფულებით სკოლა გვქონდეს და თქვენ ხმასაც ნუ ამოიღებთო— მოდი და ელაპარაკე ამისთანა ხალხს... Მაგრამ რას ვიზამთ, როდესაც ჩვენს საზოგადოებას, ქართველობას არ ესმის საქვეყნო საქმე, სამშობლოს სარგებლობა. Ერთი რამეც საყურადღებოა. Ბლ. Ბქელიშვილმა მარტო ბოლო დროს ამოიღო ხმა. Რადა?— არ გვესმის, მაგრამ მაინც ეპატიება, რადგანაც, რუსული თქმისა არ იყოს, лучше поздно, чѣмъ никогда...

Იპო-დიაკონი ნიკოლოზ.

---

## სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.

**Ჴ**სი მანეთი ფული, შეწირული ქვალითის წმიდის ბარბარას ეკკლესიის მღვდლის მამა Იესე ხუსკივაძისაგან Თფილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ შეგირდთა დასახმარებლად, ჩვენ გარდავეცით Თფილისის სასულიერო სემინარიის რექტორს, მისაქცეველად რიგისამებრ. Მამა რექტორი სასულიერო სემინარიისა ამაზე, სხვათა შორის, გვწერს ჩვენ შემდეგსა: „ვსთვლი ჩემ სასიამოვნო მოვალეობად მონდობილებისა მებრ მისის მაღალ Ყოვლად Უსამღვდელოესის საქართველოს Ექსარხოსის Პავლესი გამოუცხადო გულითადი მადლობა მისი მაღალ Ყოვლად Უსამღვდელოესობისა მღვდელს Იესე ხუსკივაძეს გამოგზავნისათვის ასი მანეთისა ძმობის სასარგებლოდ.“ Ამასთანავე მ. რექტორი გვაცნობებს, რომ ხუთ-ხუთი მანეთი მღვდლის Ანდრია Ბერაძისა და Გერასიმე ხუსკივაძისაგან გაგზავნილნი მიღებულ არიან „ძმობისაგან.“

***

**Ჴ**მ დღეებში ჩვენ კიდევ მივიღეთ ხუთი მანეთი მღვდლის Ლეონტი მაჭავარიანისაგან Თფილისის სემინარიის ღარიბ შაგირდთა დამხმარე „ძმობის“ სასარგებლოდ; ეს ფულები კიდეც გაიგზავნა სადაც ჯერ არს.

***

**Ქ**უთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ბ. Იაკობ Ფხაკაძე უჩიოდა „Დროების“ რედაქტორს დიფამაციის თაობაზე. Ამ საქმის გარჩევა იყო დანიშნული პალატაში 26 მაისს. Რედაქტორის დამცველმა, როგორც ვკითხულობთ „Დროებაში“, სხვათა შორის, პალატას წარუდგინა მოწმობა, მიცემული საქართველოს ექსარხოსისაგან იმის შესახებ, რომ ბ. Ფხაკაძე დროებით გარდაყენებულია ზედამხედველობის თანამდებობისაგან და გამოძიებაა დანიშნული მის ბოროტ მოქმედებაზე. Ამ საქმეზე გამოძიება უკვე გათავდა და შედეგი გამოძიებისა მალე გამოცხადდება.

***

**Ჩ**ვენ გვატყობინებენ სოფლის ნებოძირიდამ, (შორაპნის მაზრაშია) რომ ნებოძირის ეკკლესიიდამ ქურდულად გატანილი ნივთები უნახავთ ერთ ღელეში, მაგრამ ავაზაკები კიდევ ვერ აღმოუჩენიათ.

***

**Ზ**ოგიერთები ამტკიცებდნენ, რომ ვითომ ამ ბოლოს დროს კაცის მკვლელობის გახშირების მიზეზი იარაღის ტარება იყო და ურჩევდნენ, ვისიც რიგი იყო, იარაღის ტარების მოსპობას. Ამ ბოლოს დროს კაცის მკვლელობა გახშირდა სულ უიარაღოთ: ქვით და კეტით. Კაცის მკვლელობის მიზეზს ხედავენ იქ, სადაც ეს მიზეზი არ არის, როგორც ზნეობა ეცემა

ხალხში, ისე კაცის მკვლელობამ მოიმატა და საჭიროა ამ სამწუხარო მოვლენის მოსასპობელად ხალხის ზნეობითი ამაღლება.

**
*

Ⴁორჯომის ბლაღოჩინის დეკანოზის Ⴈოსებ სიმონოვისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

„Ⴇაყის მღვდელი მ. Ⴈოანნე მახარობლიძე, „მწყემსის" მე 9 №-ში სწერდა გორის სასულიერო სამოსწავლებლო მაზრის სადეპუტატოდ დაყოფაზე და ამასთანავე თხოულობდა ჩემგან, თქვენისავე გაზეთის საშუალობით, მეცნობებია სამღვდელოებისათვის პასუხი შემდეგ კითხვებზედ: „ვინ უნდა აცნობოს ხოლმე დრო სამოსწავლებლო მაზრულ ანუ ეპარქიულ კრებებისა სამღვდელოთა იმა განყოფილებათა, რომელთ კრებულთა რიცხვში არ შედიან თვით ბლაღოჩინები, და ან რომელთაც შეადგენენ სხვა-და-სხვა საბლაღოჩინოებში მდებარე ეკკლესიების კრებულნი? ვინ უნდა მოიწვიოს იგინი დანიშნულ ადგილებში დეპუტატების ამოსარჩევად და ან ვინ უნდა დაიცვას ჯეროვანი წესიერება ამ კრებაზედ: თვით ბლაღოჩინებმა თუ განყოფილებათა რომელთამე მღვდელთა; უკანასკნელ შემთხვევაში მღვდელთა ვისგან უნდა მიეცეს ხოლმე განკარგულება, ბლაღოჩინებისაგან თუ თვით ექსარხოსისაგან?"

„Ⴀმ კითხვების ახსნისათვისა, თანხმად სურვილისა მ. Ⴈ. მახარობლიძისა, მე მივმართე ექსარხოსის კანცელარიასა და ამასთანავე ჩემი ჰაზრიც დაუმატე, რომ მოთხოვნილება მთავრობისა შესახებ დეპუტატის გაგზავნისა მაზრულ ანუ ეპარქიულ კრებაზედ შეატყობინოს ხოლმე მღვდელსა ამისთანა განყოფილების (უჩასტკის) საშუალო პრიხოდისასა მისმა ადგილობრივმა ბლაღოჩინმა და იმ მღვდელმა დაუნიშნოს კრებულთა თავის უჩასტკისასა დრო შეკრებისა დეპუტატის ამოსარჩევად; იმ კრებაზედ დაცვა წესიერებისა მიენდოს იქ დამსწრე უმფროსს მღვდელს, ანუ ვისაც კრება ამოირჩევს. Ⴀმაზედ, როგორც მაცნობებს ექსარხოსის კანცელარია 19 ამ მაისიდგან № 2226-თა, მის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოსს უბძანებია, „რათა დროსა შეკრებისასა ამისთანა განყოფილების კრებულთასა ამოსარჩევად დეპუტატისა, დანიშნამდეს ხოლმერ ბლაღოჩინი მომეტებულის ნაწილისაო." Ⴇუ რომელს განყოფილებაში რომელი საბლაღოჩინოისა მომეტებული არის ნაწილი კრებულთა, ეს ცხადად სჩანს იმ სიიდან, რომელიც არის დამტკიცებული საქართველოს ექსარხოსისაგან 5 დეკემბერს 1883 წელსა, და რომლის თითო პირი გაუგზავნე მე გორის სასულიერო სასწავლებლის მაზრის ბლაღოჩინებსა გამოსაცხადებლად სამღვდელოებაში. მხოლოდ ერთის მე 12 განყოფილების კრებულნი შესდგებიან სამის საბლაღოჩინოს თანასწორ რიცხვებისაგან: 3 კრებულია ბ. Ⴈნაევისა, 3 ბ. ნასყიდოვისა და 3 ბ. მცხვედაძისა, ერთიც ბ. ყიფშიძისა. Ⴀმ განყოფილების საშუალ პრიხოდად არის დანიშნული სოფელი ქარელი, ამისათვის ქარელის ბლაღოჩინმა, როგორც ადგილობრივმა, უნდა დანიშნოს ხოლმე დრო შეკრებისა კრებულთა იმა განყოფილებისათა".

## ჭეშმარიტების აღდგინებისა გამო.

Ⴙვენ „მწყემსის" მე 9 და მე 10 №№-ის შენიშვნებში ჭეშმარიტების აღდგინებისა გამო „დროების" რედაქციას და მისს კორესპონდენტს დაუმტკიცეთ მათი ზოგიერთი აზრებისა და სიტყვებისა შეცთომილება და მასთან წინ წაუყენეთ რამდენიმე კითხვები საპასუხოდ. სხვათა შორის, ვსთხოვეთ „დროების" რედაქციას: 1) ერთი კითხვიდამ სხვა კითხვაზე სტომისათვის თავი დაენებებია და 2) გადაებეჭდა მთლად ჩვენი სიტყვები, რომ „დროების" მკითხველებს თვითონ შეედგინათ ჰაზრი და მსჯელობა მასზე, რაც იქნებოდა ნათქვამი „მწყემსში" და „დროებაში" ჭეშმარიტების აღდგინებისა გამო. მაგრამ, სამწუხაროდ, „დროების" რედაქციას ძლიერ შორს დაუგდებია ეს მოსაზრება. ნაცვლად პირდა-პირი პასუხისა „დროების" რედაქტორი განრისხებულა მრისხანებითა თვისითა და „დროების" ტახტიდან აი როგორ „ზრდილობიან" პასუხს იძლევა:

„Ⴄნატანიობა ისეთი ხელობაა, რომელიც ბოვშებსაც კი საზიზღრად მიაჩნიათ და, წარმოიდგინეთ, ეს საზიზღარი საქციელი რამდენ ხარისხამდე უნდა ავიდეს, როდესაც ენატანიობის მაგალითის მაჩვენებლად გამოდის რომელიმე გაზეთის ან ჟურნალის რედაქცია: ჩვენდა სამწუხაროდ, ამგვარს არა-სანატრელს მაგალითს წარმოგვიდგენს „მწყემსის" რედაქცია. ვამბობთ „სამწუხაროდ" და გულწრფელადაც ვამბობთ, რადგან ერთად-ერთი სპეციალური ორგანო, რომელზედაც დიდს იმედს ვამყარებდით და რომელსაც სიამოვნებით მივეგებენით, ეხლა ჯაშუშთა საბუდრად გადაქცეულა. იგი ისე აბუჩად იგდებს საზოგადოებას, რომ რასაც სხვანი, სინიდის-მოკლებულნიც კი, ყურში უჩურჩულებენ ხოლმე თავიანთ მფარველებს, რადგან თავიანთ ბინძური თვისების დამალვა საჭიროდ მიაჩნიათ,— „მწყემსის" რედაქცია იმითვე ამაყობს და საქვეყნოდ იარაღადა ხმარობს."

,,ამას წინად ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი შენიშვნა მის შესახებ, რომ ქორწინების დროს გლეხებს უჭირდებაო საჭირო მოწმობების შოვნა, რადგან რამდენიმე მოწმობა უნდა წარადგინონ და ყოველ მოწმობაზედ 60 კაპეიკიანი მარკა უნდა იყოს დაკრული. (სტყუვით, ნუ ფარავთ, მარტო ამაზე არ ყოფილა ლაპარაკი.) ამის პასუხად დაბეჭდილი იყო ,,მწყემსში'' წერილი, ,,იმერელი მღვდლისაგან'' ხელმოწერილი, ჩვენმა კორესპონდენტმა პასუხი მისცა, საბუთებიც წარუდგინა და თან დაუმატა—,,იმერელმა მღვდელმაც კარგად უნდა იცოდეს ეს საბუთები და განსაკუთრებით ,,მწყემსის'' რედაქტორმა ბლ. დ. ღამბაშიძემაცაო''. (ესეც აშკარა სიცრუეა და მოგონება ,,დროების'' რედაქციისა; ამ სიტყვებზე ჩვენ არაფერი არ გვითქვამს)''.

ჩვენ იმიტომ კი არ მივაქციეთ ყურადღება ამ საგანს, რომ ბ. მჭედლიძეს გამოვესარჩლოთ, რომელსაც იქნება ჩვენს გაზეთთან არაფერი კავშირიც არა ჰქონდეს და არც საჭიროებდეს ჩვენს გამოსარჩლებას. ჩვენ გვინდოდა მხოლოდ მ. ღამბაშიძის ლიტერატურული — ამოგვეჩინა და სალიტერატურო ასპარეზიდამ გაგვეგდო.''

ჩვენი თხოვნა რომ აღესრულებია ,,დროების'' რედაქციას, რასაკვირველია, თავის მკითხველებს გამოიყვანდა იმ შეცდომილებიდამ, რომელშიაც ეჭვი არ არის, ჩააგდომან თავისი მკითხველები ამისთნა მიხვეულ—მოხვეული და გვერდული პასუხით. ჯაშუშობა, ენატანიობა და ყველა ამგვარი საქციელი ჩვენ საზიზღრად მიგვაჩნდა ,,დროების'' რედაქციის დაბადებამდე და დღესაც მაზე მეტად საზიზღრად მიგვაჩნია. პსევდონიმის გამოაშკარავებას ,,დროების'' მხრით სრულებით იმ სიტყვების გამოთქმაში არ ვსედავთ, რომელიც მას ასე ოსტატურად მოყავს თავის მკითხველების დასაჯერებლად. რათ ატყუებს ასე აშკარად ,,დროების'' რედაქცია თავის მკითხველებს, ჩვენ ძლიერ გვიკვირს... ეს ჩვენი აზრით, უკაცრავად ნუ ვიქნებით, ,,დროების'' რედაქციავ, საზიზღარ ჯაშუშობაზე მეტია!...

ყველაზე სასაცილო ,,დროების'' რედაქციის პასუხის უკანასკნელი სიტყვებია. ,,დროების'' რედაქცია იმდენად გაწიწმატებულა, რომ ზრდილობა დაუკარგავს, ,,მწყემსის'' რედაქციისათვის ქქსორიობა გამოუცხადებია და ,,დროების სალიტერატურო ასპარეზიდამ გამოუგდივართ. საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ამისთანა იარაღს ხშირად ხმარობს ,,დროების'' რედაქტორი თავის თანამშრომლებზე და კორესპონდენტებზე; ხან ერთს გამოლანძღავს და გააგდებს რედაქციიდამ და ხან მეორეს. ,,დროების'' რედაქციას ალბათ ენამ წასძლია და წამოცდა ის სიტყვები ჩვენ რედაქციაზე, რომელსაც ის თავის თანამშრომლებს ასე ბრალიან-და-უბრალოდ ესვრის ხოლმე. მას დღესაც შეუძლია ამისთანა განაჩენი გამოუცხადოს თავის თანამშრომლებს და კორესპოდენტებს...

ერთი ვკითხოთ ,,დროების'' რედაქციას და მისს რედაქტორს ბ. ი. მაჩაბელს ვინ ბრძანდებიან იგინი, რომ ამისთანა განაჩენს წარმოთქმენ? რა უფლებით ისვრიან ამისთანა სიტყვებს? ვინ მისცათ მათ უფლება სალიტერატურო ასპარეზში მიიღონ ან გამორიცხონ ვინმე? როდის მოიპოვეს ეს უფლება და ვისგან? რა საბუთით ამტკიცებენ იგინი ამისთანა უფლების მოპოებას სალიტერატურო ასპარეზზე?.

,,დროების'' რედაქციას, დიდი ხანია, სჭირს ერთი სენი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ არ მოშლის არასოდეს ტყუვილა უბრალო სხვა ორგანოს კორტნას და კბენას. ვიცით ჩვენ კარგათ რა მიზეზითაც ურჩდება ხოლმე ეს სენი ,,დროების'' რედაქციას. ღმერთმანი დროა ამ სენისაგან განიკურნოს იგი! უნდა ახსოვდეს ,,დროების'' რედაქციას, იგი პასუხის მგებელია საზოგადოების წინაშე, რომ ამდენი ხნის გაზეთს გაუჭირვოს რამე თავისი წინდაუხედაობით. ჩვენ არა თუ არა გვაქვს ხახეში დევნა ,,დროებისა'', არამედ ბევრსა ვწუხვართ, რომ საზოგადოება კრძალვით მოიხსენებს ძველ რედაქციას და ესლანდელ რედაქციის, აჩქარებულება შიშს უბადავს მათ ,,დროების'' მომავალ ბედზე... ამისათვის ურჩევთ ,,დროების'' რედაქციას ცოტა წინდახედულება იქონიოს და უსაფუძვლო და უადგილო სიტყვებს თავი დაანებოს. მას უნდა ახსოვდეს ნიადაგ, რომ ყველა უსაფუძვლო და უადგილო წარმოთქმულ სიტყვებზე, რაც უნდა გაწიწმატდეს და კუჭი მოუვიდეს, პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე. არ შეიძლება, რომ გაზეთებ შორის ცოტა კინწლაობა არ იქმნეს; ეს მიუცილებელი საჭიროც არის, მაგრამ უსაფუძვლო და უადგილო კორტნას და რომის პაპობას ყველამ თავი უნდა დაანებოს.

კიდევ განმეორებით ვსთხოვთ ,,დროების'' რედაქციას, თუ სიმართლე რაიმე მიუძღვის წინ, გადაბეჭდოს თავის გაზეთში ჩვენი პასუხი მთლად ანუ ნამდვილი შინაარსი გააგებინოს მკითხველებს. თუ ამ კანონიერ ჩვენ მოთხოვნილებას არ აღასრულებს იგი, მაშინ ყველა უნდა დარწმუნდეს, რომ მისი სიტყვები სიმართლეზე არ არიან დაფუძნებულნი.

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანო-ბრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე.

## სიტყვა, *)

### თქმული გაიოზისაგან თელავის სემინარიის დაარსების გამო.

ყოველივე საქმე ამით არის დიდ და კეთილ, ოდეს გამოიძიების, თუ ვინ არის მიზეზი და ანუ რაი სარგებელი გამოვალს მისგან, და ანუ ვითარითა ჰაზრითა ქმნილ-არს იგი. რა არს მიზეზი დღევანდელი ჩვენი შეკრებულებისა? მიზეზი ჩვენი შეკრებულებისა არის იმ კეთილი აზრის განხორციელება, რომელიც დაებადა ჩვენ მეფეს ღვთაებრივი შთაგონებით; იმ აზრის განხორციელება, რომელიც გამოგვიყვანს ჩვენ უმეცრებისაგან და სიბნელისაგან. ჩვენ ვხედავთ სადამდისინ გავრცელებულ და განთესილ არს სიბრძნე. ყველგან, როგორც აღმოსავლეთში ისე დასავლეთში, როგორც ჩრდილოეთში ისე სამხრეთში ერთნაირი კეთილი ნაყოფი მოაქვს, ერთნაირათ განფენს ყველგან სუნნელებასა.

ღმერთმა მოგვანიჭა ჩვენ მეფე, რომელმანაც მოინდომა რომ საქართველოს შვილნი იყვნენ განათლებულნი ნათლითა მეცნიერებისათა და ბედნიერნი. თუმცა ყოველ კაცისათვის ცხადი უნდა იყოს, რა დიდი სარგებლობა მოაქვს მეცნიერებას კაცობრიობისათვის და რა დიდი განსხვავება ჰმევს მეცნიერებასა და უმეცრებას შორის, მაგრამ მაინც საჭიროდ ვრაცხ შევადაროთ ერთმანეთს. მეცნიერება წარმოუდგენს კაცს, უზესთაეს შემოქმედს არსებას; ეუბნება რა არს ქვეყანა, რა არს კაცი და რაისათვის დაბადებულ არს იგი შემოქმედისაგან თვისისა და დადგინებულ სოფელსა ამას შინა. მეცნიერებას უყვარს სიმართლე, და აძლევს კაცს სულგრძელებას უბედურებაში. გარნა უმეცრება არა უტევებს კაცსა გამოძიებისადმი ამის ყოვლისა. უმეცარმა კაცმა არ იცის, რა არის კარგი და რა არის ცუდი; ის ისე სცხოვრებს, როგორც პირუტყვი. რაიცა მოეწონება საგრძნობელთა თვისთა, შეჰრაცხს მას სასარგებლოდ. უმეცარს კაცს უყვარს უსამართლოება და სიცრუე.

მეცნიერება აცნობებს კაცსა, რა არს ღმერთი; ეუბნება მას: ღმერთი არის ყოვლად ბრძენი, ყოვლად სახიერი, მართლ მსაჯული და ყოვლისა სრულებისა მქონებელი; რამეთუ ზრუნავს ქმნილთათვის მისთა და უფროსღა კაცისათვის, რომელიცა არს უპატიოსნესი ქმნილებათაგანი. ღმერთი არა გვტოვებს ჩვენ განსაცდელსა შუა. ჩვენ მივიღებთ ყოველთა კეთილთა მისგან, რის გამოც მეცნიერი კაცი ჰცემს მას პატივსა.

უმეცარმან თუმცა იცის ღმერთი, გარნა ჰსჯის მისთვის ვითარცა ფიცხელისა რაისამე მსაჯულისათვის და ამით სხვა და სხვასა შინა შეცთომილებასა შთააგდებს თავსა თვისსა. ნაცვლად პატივის ცემისა ღვთისა უმეცარსა გონებასა შინა არიან, არა თუ აზრნი უმსგავსონი დიდებულებისა მისისანი, არამედ საქმენიცა ყოვლითურთ წინამდდგომნი სრულებისა მისისანი; ნაცვლად სარწმუნოებისა უფლებს ურწმუნოება, ნაცვლად სიყვარულისა—უმადლოება.

მეცნიერი კაცი წესიერად განაგებს თავის სახლსა. იმას არ უყვარს მცონარეობა და არცა აქვს წადილი უზომო სიმდიდრისა. მეცნიერი კაცი არ არის მტაცებელი, ბოროტი უპატიოსნო, არამედ ის არის პატიოსანი, კეთილი, რომელიც წმიდად დაიცავს მეუღლეობას და კეთილად აღზრდის შვილთა, მონათა დაიმორჩილებს ჰმაითს წყალობითა და შერისხვითა და ამის მიერ ჰყოფს სახლსა თვისსა ვითარცა ქვეყნიერსა სამოთხესა.

უმეცარი კაცი არს მცონარი და ნაკლულევან ყოვლითურთ, ის არის ულონო, მუნწი, ან განმაბნეველი; მას აქვს პირუტყვული აღძრულება და არ აღზრდის შვილებს და თავის მონებს სიმართლეში. სახლი უმეცრისა არა თუ არს სახლი, არამედ სამყოფი ოხრებისა და ყოვლისა ურიგობისა.

მეცნიერი კარგათ ასრულებს თავის თანამდებობას. მეცნიერი მთავარი მხნობს და იღვიძებს და ზრუნავს, რათა ხელისქვეშენი, ანუ ყმანი თვისნი მოიყვანოს მარადის კეთილსა მდგომარეობასა შინა და იღვწის, რათა არც ერთი მათგანი მიეცეს ვითარსამე უბედურებასა უზრუნველობითა მისითა. მეცნიერი მსაჯული მღვიძარებს განმართლებისათვის უბრალოსა და დასჯისათვის ბრალეულისა. მეცნიერი ვაჭარი წარვალს შორსა გზასა, არა რათა განიმრავლოს სარგებელი თვისი, არამედ რათა მოქალაქეთა თვისთა განუმრავლოს საჭიროენი და სახმარნი ნივთნი.

უმეცარი მთავარი ძრიელ დიდი უბედურებაა ხალხისათვის, იმას არ ეყურება თავის თავის მნიშვნელობას. უმეცარი მთავარი არს სასყიდლით დადგინებული და არს მემკვიდრე. უმეცარი მსაჯული არს მოქრთამე და მტაცე-

---

*) ეს სიტყვა მივიღეთ ჩვენ ამ წარწერით: ეს სიტყვა ძლიერ დიდი იყო და ზოგიერთი წინადადებანი დროთა ვითარებისაგამო ძნელნი გასაგებნი. ჩვენ შევამოკლეთ, მაგრამ დედა აზრი არ შეგვიცვლია. ამ სიტყვებიდამ ცხადათ სჩანს, თუ როგორი აზრის კაცი იყო გაიოზ ნაცვლიშვილი. „ალ. გულისაშვილი".

რედაქტორი.

ბელი. უმეცარი ვაჭარი არს განუმძღომელად ვეცხლის მოყუარე. მეცნიერება აშკარად უჩვენებს კაცს, რა არის სასარგებლო ქვეყანაზე, რა არის სასარგებლო ყოველთა კაცთა. მეცნიერება უჩვენებს ყოველთა კაცთა თანასწორებასა და უღვიძებს კეთილ ლტოლვილებას.

Უმეცარს არ უყვარს მეცნიერება და არცა პატივსა ჰცემს მეცნიერთა; ყოველივე კეთილნი ლტოლვილებანი მის გულში დამარხულნი არიან.

Ყოველი ესე სარგებლობა მეცნიერებისა არა დაფარულ არს ყოვლად ბრძნისა მხედველობისაგან კეთილმსახურისა მეფისა ჩვენისა ირაკლე მეორისა და ამიტომაც თქვენზე გამოჰხედა დაუძინებელი თვალი თვისი და იხურვა თქვენთვის ძვირფასი ესე ბედნიერება. მას ჰნებავს საყვარელთა შვილთა თვისთა განშვენება, განსვენება და გამდიდრება. არა შესაძლებელ არს, რათა არა მოხსენებულ ვყოთ აქა ღვაწლი და მომჭირნეობა უწმიდესისა მამა მთავრისა ჩვენისა მეფის ძის ანტონისა და საყვარელისა ძმისა კეთილმსახურისა მეფისა ჩვენისა, რომელმაც დიდი ღვაწლი გაუწია ამ სიბრძნის ტაძარს საქართველოისას; მან განამდიდრა ეს სიბრძნის ტაძარი" ყოვლითა საჭიროთა სწავლულებითა და თარგმნითა წერილითა სახიბრძნოთა". და ბოლოს შევევედროთ Უფალსა ჩვენსა, რომ ჩვენი მეფე უდიდებულესით სხლეულეულებით მიხით მრავალჟამიერ კეთილად და უნებელად იმყოფებოდეს, და კვალად რათა გარდამოავლინოს ზეცით მაღალმან მან ნიჭი და კურთხევანი ყოვლად წმიდისა სულისა თვისისანი უწმიდესსა მამათ-მთავარსა ჩვენსა, მეფის ძეს ანტონის, სემინარიისა ამის დირექტორს და პროტექტორს, და აქაურთა გნოსისთა დიდასკალოსსა, და ჩვენთა მშრომელთა ამას უსამღვრთოესსა პალატსა შინა, მოგვცეს ძალი სრულ ყოფად თანამდებობისა ჩვენისა.

---

## მოწამეთის მონასტერი იმერეთში და წმიდანი მოწამენი დავით და კონსტანტინე.

Ქ. ქუთაისიდგან აღმოსავლეთით ექვს ვერსტზე, ღრმა ხეობაში, ძნელად მისავალ კლდეზე, რომელიც სამი მხრით შემოზღუდულია მდინარე წყალ-წითელათი, არის მოწამეთის მონასტერი;—ეს მონასტერი თავის სიძველით და წმიდანებით მეტად შესანიშნავია არამც თუ მთელ იმერეთში, არამედ მთელ კავკასიაში.

Ოუმც მოწამეთის მონასტერი არც მშვენიერი ადგილის მდებარეობით და არც თავის შენობით არის შესანიშნავი, მაგრამ ის უდიდესი და უმშვენიერესია ყველა კავკასიის მონასტრებზე მით, რომ მასში არის უძვირფასესი სიწმიდე არგვეთის თავადთა მოწამეთა უხრწნელი ნაწილები, რომლებიც ერთ ხის კუბოში ასვენიან პირ შექცეულნი. ამისთანა წმიდათა ნაწილები ბევრია რუსეთის ეკკლესიებში და მონასტრებში. საქართველოს ეკკლესია ამ წმიდანების გარდა დიდის პატივით იხსენიებს სხვათა წმიდათა და ღვთის მორჩილთა, რომელთაც ღვაწლი დასდვეს ჩვენს საქართველოში.

Ერთი მხოლოდ მოწამეთის მონასტერი მთელს საქართველოში არის შესანიშნავი ამისთანა ხილული წმიდათა ნაწილებით და ამიტომ ეს მონასტერი მეტად ღირს-შესანიშნავია და პატივის საცემი მართლმადიდებელი ეკკლესიისაგან. ეს მონასტერი დაარსებულა დავით და კონსტანტინეს სახელით. წმიდანი მოწამენი დავით და კონსტანტინე იყვნენ ქართველნი, იმერლები, ერთ-ხორცნი ძმანი. იგინი იყვნენ შვილები მდიდარი და კეთილი მშობლებისა. არის ერთი ზეპირ-მოთხრობა, რომელიც მოგვითხრობს, რომ ისინი გვარათ თავადი მხეიძეები იყვნენ. დავით და კონსტანტინე იყვნენ არგვეთის თავადები; სოფელი არგვეთა მაშინ შეადგენდა ცალკე სამეფოს. ეს მოწამენი სცხოვრებდნენ მერვე საუკუნის დასაწყისში ქრისტეს შემდეგ. მათ კარგად იცოდნენ საღმრთო წერილი და მასთან მეტად ღვთის მოშიშნი და მავედრებელნი იყვნენ; ისინი იყვნენ მშვენიერი სახისანი, მოსულნი, ღონიერნი და გამბედავნი. თავის სიცოცხლეში უცოლოები იყვნენ და მეცადინობდნენ თავის ქვეშევრდომთა კეთილ დღეობაზე. ამიტომაც ისინი ყველას ძალიან უყვარდათ არა მარტო როგორც უმფროსნი სამოქალაქონო მმართველნი, არამედ როგორც კეთილნი მასწავლებელნი. Ყოველ მტერთან ბრძოლაში მათი სახელი ამხნევებდა ყველას და მასთან მათი წმიდა ცხოვრება იყო ყველასათვის სარკე.

Ის საუკუნე, რომელშიდაც სცხოვრებდნენ წმ. თავადნი დავით და კონსტანტინე, იყო მეტად უბედური საქართველოს ეკკლესიისათვის. მაჰმადმა თავისი ცრუ მორწმუნეთა შემწეობით ააოხრა მრავალი მხარენი. Ყველა ადგილები ხმელთა შუა ზღვიდგან ინდოეთამდის და ბაქტრიამდის, ინდოეთის ზღვიდგან სომხეთამდის ჩაუარდათ მათ ხელში. 731 წელში შემოვიდა საქართველოში დიდი ჯარით უკანასკნელი არაბეთის ხალიფი მურვან ყრუ, ანუ მურვან მეორე, ჩამამავლობით ომმაიდი.

Მურვან ყრუმ ააოხრა ეკკლესიები აღმოსავლეთ საქართველოში და გასწყვიტა მრავალნი ქრისტიანე-

ნი; შემდგომ მურვანი წამოვიდა დასავლეთ საქართველოში-იმერეთში. არცერთი მტრების თავ-დაცემა იმერეთისათვის არ ყოფილა ასეთი ამაოხრებელი ყოვლის მხრით, როგორც ეს მურვანის იმერეთში შემოსევა იყო. პირველად მურვან ყრუ თავს დაეცა არგვეთის თავადებს დავით და კონსტანტინეს. ამათაც შეჰკრიბეს ჯარი და ღვთის იმედით გაბედვით შეხვდნენ მურვანის ჯარს და დაამარცხეს ის. ამ დამარცხებამ მეტად გააბრაზა მურვანი და მიტომ მან შეჰკრიბა მთელი თავის ძალა და გადასწყვიტა ღონით ნაქები თავადების დაჭერა და ტყვედ წაყვანა. მართლაც აუსრულდა მურვანს გულის წადილი. თავადები დაატყვევეს და შეკრულნი ჩამოიყვანეს ქ. ქუთაისში და წარუდგინეს მურვანს.

ამ ფრათ ბედმა უმტყუნა კეთილ-მსახურთ თავადებს, მაგრამ მათ არ შესცვლიათ სარწმუნოება ჭეშმარიტისა ღმრთისა. ისინი წმიდა ფსალმუნების სიტყვებით ამხნევებდნენ ერთმანეთს და ურჩევდნენ აეტანათ მათ ყოველივე წვალება.—,,ვინა ხართ თქვენ, რომელთა გაბედეთ იარაღის ხმარება ჩემს წინააღმდეგ, გაბრაზებით ჰკითხა მათ ხალიფმა.—განა თქვენ არ იცით, რომ მე ვარ ძმისწული დიდი წინასწარმეტყველის მაგომეტისა, რომელსა თაყვანსა სცემს მთელი არაბეთი და სპარსი და რომ ჩემი ძალით დაპყრობილია მთელი დედა-მიწა აღმოსავლეთიდგან დასავლეთამდე?‘‘— ,,ჩვენ ქრისტიანები ვართ, თავდაბლად მიუგეს მათ; — მხოლოდ მაგომეტი, რომელსაც შენ ასე ადიდებ, იყო მატყუარა და ხალხის აღმაოხრებელი, და ყველა, ვინც კი იწამა ის, მოსტყუვდა; ნუ სტყუვდები შენ თვითონ და ნუ დიდობ შენი ძალით. უფალი და ღმერთი ჩვენი იესო ქრისტე, რომელიც ჩვენ გვწამს, შენზე უძლიერესია: მან დაგვსაჯა ჩვენ ჩვენი ცოდვებისთვის, მაგრამ სულ არ დაგვიტევებს; დაგსჯის შენც და შენს შთამამავლობასაც.‘‘

როცა ეს სიტყვები გაიგონა თავადებისაგან მურვანმა, მოუწოდა იესო ქრისტის სარწმუნოების აღმსარებელთ და უნდოდა შეეცდინა ისინი მიფერებით და ტკბილი სიტყვებით: ,,გამიგონეთ მე, უთხრა მათ მურვანმა; მე თქვენ კაი რჩევას მოგცემთ: მიიღეთ დიდი წინასწარმეტყველის მაღომეტის სარწმუნოება და თქვენ შეიქმნებით ქვეყანაზე უბედნიერესნი.—შენ, დავით, უთხრა მას მურვანმა, როგორც უფროსი, იქმნები ჩემს შემდეგ მეორე პირი სამეფოში; შენ კი უმცროსო კონსტანტინე, იქმნები რიცხვსა შინა სხვათა ჩემთა წარჩინებულთა პირთა.‘‘— ,,არა, მიუგეს მოწამეთა, ჩვენ არ გვინდა დავარღვიოთ აღთქმა, რომელიც მივეცით ღმერთს ნათლისღების დროს. რაც გინდოდეს, ის გვიქენი, მაგრამ არ იფიქრო, რომ ჩვენ ჩვენი ჭეშმარიტი სარწმუნოება დავსტოვოთ. ამ სიტყვებმა მეტად გააჯავრეს მურვანი, რომელიც შეარცხვინა ძმების ამისთანა გაბედულებამ. გაბრაზებულმა მურვანმა მისცა ისინი მეტად ძნელ წვალებას და მერე ჩააყრევინა ისინი საპყრობილეში. ათ დღეს იყვნენ საპყრობილეში მხნე მეომარნი უფლისა იესო ქრისტესი. მათ ამ ათ დღეში არც საჭმელი ჰქონებიათ და არც სასმელი. მხოლოდ ლოცვილობდნენ ღმერთსა და ჰქონდათ მისი იმედი; ამ ათ დღეში რა ნაირათ არ აწვალებდნენ მათ! ბოლოს კიდევ გამოსცადა ისინი მურვანმა და ამიტომ მიუჩინა მათ ეშმაკი და გამოცდილი თავისი მოლები და პერსიელნი მოგვები, რომლებიც ყოველივე საშუალებას ხმარობდნენ, რომ როგორმე შეეცდინათ თავადები და მიეღებინებინათ მათთვის მახმადის სარწმუნოება. მაგრამ მოწამენი ისევე მტკიცედ იყვნენ სარწმუნოებაზე, როგორც თავ და პირველათ. ბოლოს მოთმინებიდგან გამოსულმა მოწამეებმა გადაწყვეტით უპასუხეს გამოგზავნილებს: ,,უთხარით თქვენს გამომგზავნს, რომ ჩვენ მზათა ვართ მოვკვდეთ, ვინემ უარ ვყოთ ქრისტე და ვიწამოთ წინასწარმეტყველად მაგომეტი.‘‘

როცა მოლები და მოგვები ვერას გახდნენ, მობრუნდნენ და მოახსენეს მურვანს: ,,ჩვენ ყოველივე ღონისძიება ვიხმარეთ, რომ შეგვეგონებია მათთვის, რათა მათ მიეღოთ, მაჰხმადის სარწმუნოება, მაგრამ ისინი ისევ შეურყეველნი დარჩნენ და, ვგონებთ, არაფრით იმათი მოქცევა არ შეიძლება: საპყრობილეში დამწყვდევას ვერ უმოქმედნია იმათზე.‘‘ გაიგონა თუ არა ეს, მწვალებელმა ბრძანა, რათა შეასრულონ მათზე სასტიკი დასჯა: ,,ჯერ ორივე ძმები, ბრძანა მურვანმა, ჩამოჰკიდეთ თავ დაღმა და ისე სცემეთ და მერე შეაბით მათ კისრებზე მძიმე ქვები და ჩაჰყარეთ კლდიდგან რიონში. მოწამეებმა სთხოვეს მურვანს, რომ მას მიეცა მათთვის დრო ლოცვისთვის; მაშინვე მათ აღიპყრეს თვალნი ცაში და აღმოსთქვეს: უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, რომელმაც ღირს გვყავ ჩვენ წამებისა! გევედრებით შენ: დაიცევ ჩვენი სხეულნი, შთამავლობის სახსოვრად, მთლად და დაუხრწნელად, როგორც ჩვენ ვინახავდით მათ შენის მადლით, სიწმიდით და მიეც მათ ძალა განკურნებისა და ცოდვათა მიტევებისა ყოველთა, რომელსაც თაყვანსა სცემდენ. ,,ჵი, უფალო იესო! შენს ხელში ვუტევებთ ჩვენს სულს. ამინ.‘‘ — გაათავეს თუ არა მათ ლოცვა, მაშინვე მტრებმა გადაჰყარეს მოწამენი მდინარე რიონში. ეს

მოხდა ორს ოკტომბერს, 740 წელსა. ისინი ჩააგდეს მდინარე რიონში იმ ადგილის ცოტა ქვემოთ, სადაც უწინ ყოფილა ძველ ქ. ქუთაისში, მთაზე აშენებული წმიდა კოსმისა და დამიანეს ეკკლესია.

მაგრამ უფალმა ღმერთმა, რომელიც ადიდებს მადიდებელთა მისთა და რომელიც მყრობელია მიწისა და წყლისა, დაავგვირგვინა ესეთი წვალება წმიდათა მოწამეთა მრავლითა სასწაულებითა.— რა წამს წმიდანი მოწამენი გადაუშვეს მდინარე რიონში, ცაში შეიქმნა ქუხილი, რომელმაც ისე შეაშინა მწვალებელი არაბეთლები, რომ სწრაფად გაიფანტ-გამოიფენტნენ სხვა-და-სხვა ადგილებს; მაგრამ ძლიერი ხელი უფლისა ყველგან სდევნიდა მათ: ძრიელმა წვიმამ, სეტყვამ და დიდმა წყალდიდობამ გასწყვიტა მრავალი რიცხვი მურვანის ჯარებისა, რომელნიც დაბინავებულნი იყვნენ ცხენის წყლის, აბაშის და შავი ზღვის ნაპირებზე. მოწამეების სხეული არ ჩაუძირავს წყალს, თუმც იმათ დიდი ქვები ეკიდათ კისრებზედ, არამედ მაღლა დაცურავდნენ და განთავისუფლებულ იყვნენ ყოველივე საკრველისაგან. ღამით იმ ადგილს, სადაც იყვნენ გვამნი წმიდათა მოწამეთა, ცეცხლის სვეტი ადგა, რომელიც ანათებდა არა ჩვეულებრივად და მასთან ისმოდა ხმა, რომელიც უბრძანებდა ყოველთა ქრისტიანეთა, რათა აიღონ მათ გვამნი მოწამეთა და წაიღონ აღმოსავლეთის მხრით, იმ ადგილს, სადა ეხლა განისვენებენ გვამნი ამა წმიდათა. ამ დროს მოწამეების პატიოსანი სხეულნი გამოგდებულ იქმნენ მდინარის ნაპირზე. არა ჩვეულებრივმა სინათლემ და ზეციურმა ხმამ მოიყვანეს მდინარის ნაპირზე ზოგიერთნი მეომარნი მოწამეების მილიციისაგან; იმათ წაასვენეს პატიოსანი გვამნი მოწამეთა ნაჩვენებს ადგილზე და ჩაასვენეს ძველს სასაფლაო აკალდამაში, რომელზე იყო ნახევრობით დამგვრეული ხარების ეკკლესია. სამასი წელიწადი ესვენენ აქ წმიდათა ნაწილები და ყოველთვის მათგან ღებულობდნენ მათი მავედრებელნი სასწაულებს და კურნებას; ბოლოს, მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში (1040 წელსა) წმიდა მოწამენი გამოეცხადნენ ძილში ბაგრატ მეფეს და უბრძანეს, რომ მას ამოეღო მათი წმიდათა ნაწილნი და გადაესვენებინა ეკკლესიაში. ამიტომ მეფე ბაგრატმა განაახლა ეკკლესია, რომელიც ამ სასაფლაოზე იდგა და მერე მასში გადაასვენა წმიდათა მოწამეთა ნაწილნი, რომ უფრო ცხადათ შეძლებოდათ მორწმუნეთა მისი თაყვანის ცემა. ამ დიდი წვალებისთვის, რომელსაც თან მოჰყვა ამისთანა დიდი დიდება, წმიდანი მოწამენი იწოდებიან დიდ მოწამეებათ. ხოლო მეფე ბაგრატისაგან განახლებულ ხარების ეკკლესიას, რომელიც შემდეგ მონასტრად შეიქმნა, დაერქვა მოწამეთის მონასტერი, თუმც ამ მონასტერში სრულებითაც არ არის ტრაპეზი წმიდა მოწამეების სახელზე.

ეს მონასტერი იმყოფება ციცაბო, აღმართ დაღმართიან და სამკუთხიან მთაზე ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, კლდეზე, რომელიც სამი მხრით — აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთისკენ შემოზღუდულია მდინარეთი, რომელსაც ჰქვია წყალწითელა. ამ სამი მხრით მონასტერს კაცი ვერ მიუდგება. მდინარის ნაპირებზე და კლდის ძირზე არის გაშენებული პატარა ბაღები. ახლო-მახლო არის სახნავ-სათესი ადგილები. მონასტრის გარშემო და შიგ ეზოში ხარობენ ხეები, და მათ რიცხვში არიან დაფნის ხეები. მაღლობზე, მონასტრის ეკკლესიასთან არიან პატარა შემოღობილნი ბოსტნები. აქვე არის შვიდამდის პატარა ხის სახლები ღარიბულად აშენებულნი. ამ სახლებში სცხოვრებენ ბერები. არის აშენებული პატარა ხის სასტუმრო მომსვლელთათვის. ეკკლესიის სამრეკლო არის ახალ ფორმაზე აშენებული მშვენიერი თლილი ქვით; ეს სამრეკლო არის აშენებული 1845 წელში ყოვლად უსამღვდელოესის იმერეთის მიტროპოლიტის დავითის განკარგულებით. ცოტათი მაინც ამშვენებს ეს სამრეკლო მონასტრის ეზოს; აქვე არის ორი ქვის კოშკი, რომლებსაც კედლებში აქვსთ ვიწრო სანათურები; ეს სანათურები გავლან ციხეების ზარბაზნის ცხვირის გასაყოფელ ჯუჯუტანეებს. ერთი კოშკი არის აშენებული სამხრეთ-დასავლეთისკენ; ამაში გადის წვრილი გზა, ალაგ-ალაგ ხის ფიცრებისაგან გაკეთებული; მეორე კოშკი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ არის. ამ კოშკში ინახებიან მონასტრის ზოგიერთი ნივთები.

მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი შენობა ამ მონასტერში არის თვით მონასტრის ეკკლესია; ამას არა აქვს გუმბათი, აშენებულია უბრალო მოყვითალო ქვითა. ეკკლესია ისე მიახლოვებულია ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის კლდეზე, რომ ეკკლესიის გარშამო შემოვლა შეუძლებელია. 1845 წელში მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის იმერეთის მიტროპოლიტის დავითის მიერ ამ ეკკლესიას გაუკეთეს სანათურები, რომ მასში უფრო სინათლე ყოფილიყო და ცოტა გადიდებულიყო. ეკკლესია შელესილია და დახურულია თუნუქით. ის თუმც დაბალია და უგუმბათოთ, მაგრამ იქაურს შენობებზე უკეთესია. ეკკლესიაში, რომელიც სიძველის და სიღარიბის მეტს არას წარმოგვიდგენს, შედის კაცი სამხრეთ-

დასავლეთის კარებიდგან. აქ იმყოფება: ხის კანკელი, რომელზედაც ძლივს მოჩანს ძველი მხატვრობა; ამ კანკელში არის ჩასვენებული რამდენიმე ძველი ხატები. პატარა სამსხვერპლო არის კედელში,— და ტრაპეზი, ეკკლესიის სიპატარავისა გამო, არის ერთი მხრით კედელზე მიშენებული. აღმოსავლეთის მხრით არის მშვენიერი ხის კუბო, რომელიც დამაგრებულია ერთი არშინის სიმაღლეზე ქვითკირის იატაკიდგან ორ ხისგან გაკეთებულს ლომებზე. ამ კუბოში განისვენებენ უხრწნელნი ნაწილნი წმიდათა მოწამეთა. ეს უკანასკნელი შეადგენენ ამ მონასტრის სიმდიდრეს, დიდ მშვენიერ და ძვირფას სამკაულს.

მონასტრის გარშამო არიან: ტყე, ციცაბოები და ხეივნები, რომლებიც აძლევენ სიმშვენიერეს იმ ადგილს, რომელიც მონასტერს უკავია. მაგრამ რამდენათაც ეს ადგილი მშვენიერია, იმდენად საშიშარია. მონასტერი ისე მაღლობზე არის, რომ მონასტრიდამ ძირს ჩახედვა ძალიან ძნელია, განსაკუთრებით ქარიან დღეში. ბევრი მლოცველები და ისე მნახველებიც ბევრნი დაიარებიან ამ უდაბნოში, მაგრამ მლოცველების და მნახველების რიცხვი უფრო ბევრია ორს ოკტომბერს, ამა მოწამეთა დღესასწაულობის დღეს.

ახლა ამ მონასტრის სიახლოვეს გადის რკინის გზა ტყიბულისკენ და მაშინ ყველა მართლ-მადიდებელთათვის საადვილო შეიქნება სიარული ამ მონასტერში.

## ნარევი

**მირონის მომზადება.** ვნების კვირიაკეში დადგენებული წესისა მებრ მართლ-მადიდებელის ეკკლესიისა მოსკოვის მირონის მოსამზადებელ პალატაში შესრულდება ხოლმე მზადება მირონისა. დიდ ორშაბათს, დილით მოვა პალატაში მიტროპოლიტი, ანუ ერთი რომელიმე ეპისკოპოსი სამღვდელო კრებულით და შეასრულებს წყლის კურთხევის წესს. ამის შემდეგ მიტროპოლიტი ანუ ეპისკოპოსი აკურთხევს და ნებას მისცემს ქვაბებში ზეთის და ღვინის ჩასხმისას და სხვა მასალათა შთადებისას, და თვითონ მოუკიდებს ცეცხლს ქვაბებ ქვეშ. შემდეგ დაიწყებს სახარების კითხვასა, რომელსაცა დაუყვებიან მღვდლები სანამ არ გათავდება მირონის დუღება, დიდ ოთხშაბათს მწუხრამდინ. დიდ ხუთშაბათს, მომზადებული მირონი წირვის წინეთ შემოსილი სამღვდელოებისაგან გადატანილი იქმნება მირონის მოსამზადებელის პალატიდამ მიძინების სობოროში, სადაც წირვაში იქნება კურთხებული მიტროპოლიტისაგან ანუ ეპისკოპოსისაგან. წირვის გათავების შემდეგ ნაკურთხი მირონი იმავე სამღვდელო პირთაგან იქმნება გადატანილი და შენახული საპატრიარქო სალაროში, საიდამაც მოსკოვის სინოდალნის კანტორის ნებადართვით იგზავნება ყველა ეპარხიებში. (Москов. вѣдомости).

**ჭლერქის წამალი.** „საქიმო უწყებებში" არის დაბეჭდილი წერილი ბ.ბ-ისა:" ერთ ადგილას ჩერეპოვეცის მაზრაში ნოვგოროდის გუბერნიაში, ძლიერ სარგებლობენ ჭლექიანი ავადმყოფები ჭინჭრის ძირით. ამ უბრალო სოფლიურმა საშვალებამ ორი სამი ავათმყოფი ჭლერქით სრულებით მოარჩინა: ამისათვის გთხოვთ დაბეჭდოთ ეს ჩემი წერილი, რომ ეს მშვენიერი საშვალება გავრცელდეს ხალხში ჭლერქიანების მოსახმარებლად.

ჭინჭრის ძირები უნდა შეკრიბონ ადრე გაზაფხულზე, თოვლი როგორც გადნება სანამ ფოთლებს გამოისხემდეს, სანამდინაც ძლიერ სუსხავს ხორცს; შემდეგ უნდა გაახმონ, მაგრამ ფეჩში არ უნდა შედვან და არც ძლიერ სუსხიან ადგილას დასდვან გასახმობად. რომ გახმება, უნდა წვრილათ დაჭრან და მოსწიონ ისე, როგორც თამბაქო, ორ ჯერ ანუ სამჯერ დღეში; პირველ დღიდამ ავათმყოფი დაიწყებს თავისუფლად სუნთქვას და ოთხი ხუთი კვირის შემდეგ სრულებით განთავისუფლდება. წამალი მაინც და მაინც ძვირი არ არის და ყველასაც შეუძლია მისი ადვილად შოვნა და, ვინ იცის, რაიმე სარგებლობა შეიძინოს.

**გასაოცარი თავისმკვლელობა.** ამ ცოტა ხანში მოსკოვის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის ორი პირველი კურსის სტუდენტი ერთი გვარად ვიშნიაკოვი ცხრამეტის წლისა და მეორე—ჩულკოვი შევიდნენ ერთი მათგანის ოთახში. დასდგეს კრესლოები ერთი არშინის სიშორეზე; გაიხადეს ტანისამოსები, მოიღიავეს მკერდი, დაუმიზნეს ერთმანეთს რევოლვერები. ერთბაშათ ესროლეს ერთი ერთმანეთს და ორივე მოკვდნენ. სტოლზე ნახეს წერილი, რომელშიაცა სწერდენ, რომ ჩვენ გვინდოდა თვითონ თავის მოკვლა და სხვას ნურავის დააბრალებთო. ეს ორი ამხანაგები ძლიერ მეგობრები იყვნენ თურმე ერთმანერთის და ამიტომ კიდევ ვერ აუხსნიათ ნამდვილი მიზეზი მათი თავის მკვლელობისა.

**მოგზაურობა მკვდარი ფარაონისა.** ერთმა არხეოლოგმა, მრავალი ძებნის შემდეგ, ნახა მუმია ეგვიპტის ფარაონის მერენესისა. ძლივს მოიტანა ბულაკამდის და შემდეგ ეს ძვირფასი ნაპოვარი რკინის გზით უნდა წამოეღო. ნახეს რკინის გზის მოსამსახურეებმა, რომ ტარიფში არა სჩანს მუმია და ვერ განსაზღვრეს, თუ რა უნდა გადაეხდევინებიათ წასაღები. ბოლოს, როგორც იქნა, აუხსნეს და დააჯერეს, რომ მუმია კაცის სხეულიაო; ამისთვის აყიდვინეს ბილეთი პირველი კლასის და ორი ათასი ვერსტი გაარბინეს. შემდეგ მიადგნენ დამოყნას. დამოყნის ჩინოვნიკმა მუმიის ბაჟი ვერ მონახა და არ აძლევდა ნებას ამ ნივთის გატარებისას. ბოლოს არხეოლოგმა აუხსნა, რომ მუმია დამარილებული ნილოსის დიდი თევზიაო. დამოყნის ჩინოვნიკმა თევზის ბაჟი გარდაახდევინა და გაუშვა. ერთ დროს ძლიერი ეგვიპტის მბრძანებელი ბოლოს ასე სათრევი შეიქნა,

# განცხადებანი.

## ანგარიში

### ჯიხაიშის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის 1883 წლისა:

1) 1884 წლის პირველ იანვრამდის გასესხებული იყო 156 წევრზედ 158 თამასუქებით . 7,473 მ. კ.
2) კასაში იყო ფული . . . . 120—55
და სრულიად. 7,593—55
3) სათადარიგო თანხას (запасной капиталъ) შეადგენს . . . . . 629—83
4) და სრულიად სათადარიგო თანხიანად. 8,223—38
5) წილის ფული შემოვიდა. . . . 341—50
6) პროცენტი (%) შემოვიდა. . . . 983—19
7) ჯარიმა. . . . . . . . 3—55
8) აღებ-მიცემის შემოსავალი . . . 2—91
9) სხვა-და-სხვა შემოსავალი . . . 98—20
10) სრულიად შემოსავალი . . . . 1,429—35
11) გასულია წილის ფული. . . . 349—70
12) გასულია წილის ფულის მოგება. . . 535—95
13) გასულია სარგებელი ვადაზედ წინეთ გადახდილის ნასესხისა . . . . 15—10
14) გასულია სასარგებლოდ შემოტან. ფ. 1,692—
15) გასულია სარგებელი სასარგებლოდ შემოტანილი ფულისა . . . . 133—60
16) სათადარიგო თანხას მოაკლდა 93 მ. ბანკის სახლის ასაშენებლად.
17) სამმართველოს ხარჯად. . . . 105—
18) სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის დაიხარჯა 124—50
19) სრულიად გასულია. . . . 3,048—85
20) დარჩა წილის ფულის მოგება მისაცემი. 213—52
21) 37 წევრთ აქვთ ამხანაგობის ფ. ნასესხი 2,327—
22) 37 წევრთ აქვთ სრული წილის ფული 1,850—
23) 1883 წ. 206 წევრთა ჰქონდ. ნასესხი 10,423—

ამხანაგობას მოაკლდა სიკვდილის გამო 3 წევრი.
» » ნასესხის შემოუტანელ. 13 წ.
» » თავის ნებით 8 წევრი.
დარჩნენ ამხანაგებად 189 წევრი.

შენიშვნები: 1) ამხანაგობას ამ ჟამად არა აქვს არც ნასესხი ფული და არც მობარებული.

2) ამხანაგობა ყოველ-წლობით, შეძლებისამებრ ფულებს უგზავნის კომიტეტს, რომელიც პეტერბურღში იმყოფება; ამ კომიტეტის მიზანი არის დაეხმაროს და ხელი გაუმართოს სასოფლო გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა.

გამგეობის წევრი და მმართველი ჯიხაიშის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა მღვდელი ლუკა ჩომახიძე.

---

საქართველოს ექსარხოსის კანცელარიაში იყიდება რუსულს ენაზე დაბეჭდილნი

**სიტყვანი და შესხმანი**

ჩაღალ ყოვლად უსამღვდელოესის არხიეპისკოპოსის კიშინიევისა და ხოტინსკისა, დღეს საქართველოს ექსარხოსის პავლესი. სიტყვანი და მოძღვრებანი შესდგებიან სამი ტომისაგან. პირველი ტომი არის 545; მეორე ტომი—546 და მესამე ტომი—538 კაბადონი. ფასი სამივე ტომ. ოთხი მან. და ათი შ. წიგნების დაბარება შეიძლება ზემოხსენებულ კანცელარიიდამ და ,,მწყემსი''-ს რედაქციიდამაც.

**ვიღებ**

როგორც ქალაქებიდამ, ისე სოფლებიდამ ეკლესიის **კანკელებს** და **კიოტებს** გასაკეთებლად. ყოველ საქმეს შევასრულებ რიგიანათ და პირიანათ.

ჩემი ქარხანა იმყოფება ქ. თფილისში, საპერნის ქუჩაზედ, ალექსანდროვის სახლ., № 8.

კანკელისა და მებლის ოსტატი

დავით ვიგაური.

*Дозв. цензурою Кутаисъ, 31 Мая 1884 г.*

რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ.

მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.